მშრომელნო ერთა გაერთიანდით!

წვლილობა მცხოვრებთა

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ქუთაისი, ერისწყ. № 1. მე-2 სართული
გამოვარი კანტორა: ქუთაისი, რუსთველის ქ. № 36 მე-2 სართული ტელეფ. 5—13

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. წერილები რედაქტორის 14—76. მღივნის 10—58

ხელის ნაწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნოემბრით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

საბჭოთა რუსეთის ცნობისთვის გუშინრის გამცხადებელი შეგროვებულ შატების ხელნაწერში, მეცხრეკა პირველად ცნობილ ხალხური ფიზიკა.

რუსეთში: ეხერთა პარტიის წევრთა ყრილობის მოსვლა.

ლონდონის თათბირი. ახლო აღმოსავლეთის საკითხის განხილველად.

კონსტანტინეს ამბები: უკრაინელ დეპუტატების პროტესტი აღმოსავლეთ გალიციის შემოერთების წინააღმდეგ.

№ 6 სამშაბათი, 20 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 62

ხვალ, საღამოს 7 საათზე, სასახლეში შესდგება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის სავალდებულოა.
ს. ც. ა. კ. მდივანი **საბაშვილი.**

საქართველოს კ. პ. ტფ. კომიტეტი

ხვადადებას იძლევა პარასკევს ა. წ. 23 მარტს, ერთიან პარტიულ დღეს დაყენებულ იქნას დღის წესრიგში:

„მენშევიზმის გახრწნა".

თეზისები გამოქვეყნდება დამატებით.

თფ. კ. მდივნის მაგიერ **რუბენი.**

პარტყრილობის შედეგები

გერას, 18 მარტს დაასრულა თა- ბან შეწონილი იქნებოდა საქართვე- ში მუშაობა საქართველოს კომუ- ლოს შესვლა საბჭოთა რესპობლიკე- ტური პარტიის მეორე ყრილობამ. ბის კავშირში უშუალოდ და არა დღეს ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ და ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშუა- შეგასთან ყრილობის შედეგების ლებით.

მთავარი მომენტები და აზრი.

ვინც იცნობს ამიერ-კავკასიას, რო- ერთი მთავარი საკითხი, რომელიც გორც ნაციონალური ურთიერთობა- ედგა ყრილობის დღის წესრიგში, თა, ისე სამეურნეო მხრით, მისთვის ედგა: „ნაციონალური მომენტი პარ- უდავო უნდა იყოს, რომ აქ ნაციო- ტიულ და საბჭოთა აღმშენებლობა- ნალური მშვიდობიანობა და მხარის ში". ეკონომიური წარმატება უკეთ იქნება ყრილობამ, თავის რეზოლიუციაში მოგვარებული, თუ იარსებებს ამიერ ეხება პოლიტიკურ და სოციალურ- კავკასიის საერთო საბჭოთა ცენტრი, ეკონომიურ მუშაობის ცენტრი, რომელიც მხარის ცხოვრებას გაუ- ზე, მოგვცა ამომწურავი პასუხი წევს ზოგად ხელმძღვანელობას, რო- და სამელიც შეათანხმებს ცალკე რესპუბ- ლიკების და ხალხთა ინტერესებს, რომელიც საერთო ინტერესებისათვის გამოიყენებს მხარის რესურსებს.

ამ მოსაზრებით აუცილებელი და მიზანშეწონილია ა იერ-კავკასიის ფედერაცია და მისი საშუალებით ჩვენი ქვეყნის შესვლა ს. ს. რ. კავშირში.

ამასთან ჩვენ ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ ეს გაერთიანება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ოდნავადაც მაინც გახდეს ხალხების ნაციონალურ კულტურის, მათი უფლებების შეეიწროების იარაღად.

ასეთ პროვოკაციულ ხმებს აღრეც- ლებენ ჩვენი მტრები, რომლებიც ჩვე- ნი ხალხის დაკავშირებას დანარჩენ რესპუბლიკებთან სახიფენ მისი უფლე- ბების უარყოფად.

ყრილობის რეზოლიუცია ერთბა- შად აჭარწყლებს ამ პროვოკაციას.

ღირსშესანიშნავია რეზოლიუციის შემდეგი ადგილები: „ძირითადი ამო- ცანაა დავამტკიცოთ საქმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება საკმაოდ უ- რუნველყოფს კლასობრივ ინტერესებ- თან ერთად მშრომელთა არა მარტო ეკონომიურ, არამედ ნაციონალურ ინტერესებსაც". და შემდეგ: „განსა- კუთრებული ყურადღება უნდა მიექ- ცეს იმას, რათა გაერთიანებულ აპა- რატებს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ გადაქცევა „ეელიკორუ- სულ" ნაციონალიზმის გამტარებელ ორგანოდ; ყოველგვარ ასეთი ცდის წინააღმდეგ პარტიამ უნდა აწარმო- ოს გაბედული და სისტემატიური ბრძოლა".

ჩვენი პარტიული ყრილობა უფრო შორს მიდის ეროვნებათა ინტერესე- ბის დაცვის საქმეში. მან წამოაყენა პროექტი მეორე პალატის სახით პარალელურ საკავშირო ორგანოს შე- ქმნისა, სადაც ეროვნებები წარმოდ- გენილი იქნებიან თანასწორ საფუძ- ველზე. ამ ორგანოს მიზანია სპეცია- ლურად ხალხთა ნაციონალურ უფლე- ბების და ინტერესების დაცვა.

აქედან სჩანს, თუ რა ფრთხილად და სათუთად ეპყრობა ჩვენი პარტია ეროვნულ საკითხს. მისი მიზანია ფა- ქტიურად სავსებით განახორციელოს ხალხთა სრულუფლებიანობა, თანას- წორობა და შექმნას ნამდვილი გა- რანტიები მათი ყოველმხრივი განვი- თარებისათვის.

ასეთია ყრილობის ავტორიტეტუ- ლი გადაწყვეტილება ნაციონალურ საკითხის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია ყრილობის ერთი შედეგი, კერძოდ ჩვენი პარტიისათვის. ის გაუგებრობა თუ უთანხმოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი პარტიის რიგებში ნაციონალურ სა- კითხის სფეროში, ამიერიდან ამოწუ- რულად უნდა ჩაითვალოს. ყრილობა- ზე გამოირკვა ყველა სადათ მიჩნეუ- ლი საკითხები. ყრილობამ გამოიჩინა ერთსულოვნობა თავის მუშაობაში და ამით დაამსხვრია ის იმედები, რომლებსაც ჩვენი მტრები ამყარებ- დნენ ჩვენი პარტიის ერთიანი ფრონ- ტის შერყევაზე და ამ გზით ცდილო- ბდნენ თავიანთი კონტრ-რევოლიუ- ციონური ზრახვების განხორციელე- ბის გა დეღებას.

ყრილობიდან პარტია გამოვიდა უფრო შეკავშირებული და შედუღე- ბული. და ეს ერთსულოვნობა არის არა ხელოვნური და მოჩვენებითი, არამედ მას საფუძვლად უდევს პარ- ტიის რიგების იდეოლოგიის მთლია- ნობა და მშრომელი მასსის ინტერე სების ერთნაირი შემეცნება.

ამ მთლიანობის კიდევ ერთი დე- მონსტრაცია მოგვცა ყრილობამ.

განოების სახალისო მუშაობის საგანს, და ემსახურებოდა მცხოვრებლების ფართო მასსას იმდენათ, რამდენათაც ეს სასარგებლო იყო გაბატონებულ კლასის ინტერესებისათვის.

მაგრამ შეიცვალა ჩვენი ცხოვრების სოციალური ეკონომიური პირობები და მასთან შეიცვალა ამ საქმის დაყენებაც. ოქტომბრის დიდ რევოლიუ- ციამ მოგვცა ჩვენ მთლიანი საბჭოთა მედიცინა და მთელი მომავალი სამე- დიცინო-სანიტარულ აღმშენებლობის ქვაკუთხედათ აღიარა გამოურთხილე- ბელი მედიცინა.

სანიტარიის ძირითადი მიზანია— ცხოვრების და შრომის პირობების გაჯანსაღება, ცხოვრებაში სოციალურ პროფილაკტიკის ფართო ზომების გა- ტარება. ეს დებულებები, რომელნიც უდევს საფუძვლათ ჯანმრთელობის კომისარიატის მოქმედებას, წარმო- ადგენენ სანიტარულ ორგანოების უახლოეს და მორიგ მზრუნველობის საგანს.

ჯანსაბკომის მოქმედების ამ დარ- გის ორგანიზაცია და ხელმძღვანე- ლობა დაკისრებული აქვს სასანიტა- რო-საეპიდემიოლოგიო განყოფილე- ბას. ამნაირად, ყოფილ ერობის და ქალაქის მედიცინის სანიტარული საქ- მე, რომელსაც ჭჭონდა გამოკვეთების და ვიწრო განთლების ხასიათი და თანდათან გადადიოდა სანიტარულ აღმშენებლობის სახელმწიფო ფორ- მებში, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, იქცა ერთ დიდ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ. პროლეტა- რულმა მედიცინამ, ბურჟუაზიულის წინააღმდეგ, თავის მედიკო-სანიტა- რულ აღმშენებლობის საძირკველად დაისახა გამაფრთხილებელი მედიცი- ნის საფუძვლები. მშრომელნი და მო- სახლეობა უნდა დაცულ იქნან ავად- მყოფობისაგან. სანიტარული საქმეს უნდა თავობდეს სახელმწიფო სანიტა რული კანონმდებლობა და სახელმწიფო სანიტარული განათლება. აი ის ორი იარაღი, რომლის შემწეობით სასანიტარო-ეპიდემოლოგიური გან- ყოფილება შესძლებს განახორციელოს საბჭოთა მედიცინის სანიტარულ აღ- მშენებლობის მოთხოვნილებები, სა- ხელმწიფო სანიტარული კანონმდებ- ლობა იქნება სანიტარულ ზედგაყენე- ნის უძლიერესი იარაღი და დიდად შეუწყობს ხელს სანიტარულ ღონის- ძიებათა სახელმწიფო ფისახსების მხრივ დახმარების საქმეს, ურომლი- სოდ შეუძლებელია მსხვილი სანიტა- რულ ჰიგიენური დაწესებულებების აღმშენებლობითი მუშაობა პროფი- ლაკტიკის ფრონტზე. (ბანიოები, სა- დეზინოფექციო საკნები, ლაბორატო- რიები და წყალსადენი).

ასეთი დაწესებულებების დაუგვიანებ- ლად მოწყობა საშუალებას მისცემს სა- ნიტარო-ეპიდემიოლოგიურ განყო- ფილებას ერთხელ და სამდგამო გა- მოვიდეს ეპიდემიის საწინააღმდეგო საგანგებო მუშაობის წრიდან და გა- დავიდეს თავის მოცავწეობის ნორ- მალურ სტადიაში.

ეხლა, როდესაც ჩვენ, შესაძლოა, მოვხედეთ მუშაობის შენელების პერი- ოდში, ჩვენ წინ დგება მორიგი ამო- ცანები, რომლის განხორციელებას გვიშლიდა განუწყვეტლივ ერთი მეო- რეს მიმყოლი სხვა და სხვა ნაწყლე- ვების და ტიფის ეპიდემიები. ჩვენი მორიგი ამოცანა, რომელსაც უნდა შევასრულოთ მთელი ჩვენი ძალა და საღსარი—ესაა სოციალურ სენთან ბრძოლის ორგანიზაცია. საერთო ეპი- დემია, სიფილისი და ჭლეკი—აი ჩვენი უმთავრესი მტერი, ვის წი- ნააღმდეგაც უნდა იქნეს გამოყენე- ბული ყველა ძალები და საშუალებე- ბი. ამ მუშაობაში საპატიო ადგილი უჭირავს სასანტ-საეპიდემიოლოგიო განყოფილების სანიტარულ ქვე-გან- ყოფილებას და ჯ. ს. კ. სანგანათლე- ბის საბჭოს. საბჭოთა მედიცინის მიერ შექმნილი სამედიცინო სანიტარული მუშაობის ახალი მეთოდები მოითხო- ვენ მშრომელთა მუშაობაში მასსიურ ჩაბმას. პრინციპი „მშრომელთა ჯან- მრთელობა—თვით მშრომელთა საქ- მეა" უნდა სავსებით გატარებულ იქ- ნეს სოციალურ სენთან ბრძოლის საქ- მეში. სხვაფერ მიზნის მიღწევა ჩვენ- თვის წარმოუდგენელია. მუშაობის ეს ნაწილი, რომელიც წარმოადგენს სო- ციალურ სენთან ბრძოლის სოს მთელ ნახევარს, უნდა შეასრულონ ჩვენმა ადგილობრივმა და სამაზრო სანგანათლების ორგანოებმა.

სოციალურ სენთან ბრძოლის სწორ ორგანიზაციის მოსაწყობათ საჭიროა იქნეს დაარსებული ცენტრში და მა- ზრებში:

1) მალიარიასთან ბრძოლისათვის— ტროპიკული ინსტიტუტი, სამალია- რიო საავადმყოფოთი, სამალიარიო და კლიმატიური სადგურებით.

2) ვენერიული ავადმყოფობასთან და მეძობასთან ბრძოლისათვის—დი- სპანსერები, ქრონიკების კერები, ამ- ბულატორიები, ლაბორატორიები და მეძობასთან ბრძოლის საზოგადოებ- რივ-პროლეტარული ორგანოები.

3) ჭლეკთან ბრძოლისათვის—დის- პანსერები დღიური და ღამის სანა- ტორიებით, დიეტიური სასადილეებ- ით, ქრონიკთა კერებით, ამბულატო- რიებით და ლაბორატორიებით.

მალიარიასთან ბრძოლის ზემოჩა- მოთვლილ ღონისძიებებს საჭიროა მიემატოს პროფილაქტიური და სამ- კურნალო ხინიზაციის მიზნით ქინა- ქინის სრულიად საკმაო რაოდენობა სიფილისთან ბრძოლისთვის—ნეო- სალვარსანის საკმაო რაოდენობის შეძენა და ჭლეკთან საბრძოლველად —სატყეო სკოლების, საკურორტო სა- ნატორიების და მზით აქმობის მო- წყობა.

სოციალურ სენთან ბრძოლას სასან. ეპიდ. განყოფილება უკვე შეუდგა, მაგრამ განყოფილებამ იცის, რომ საჭიროა ხანგრძლივი და მტკიცე მუ- შაობა, მასიური ორთომოქმედება და სახელმწიფოს მხრივ საკმაო სახსრის გაღება, რისგანაც, უმთავრესად, და- მოკიდებულია საქმის სასურველად დაგვირგვინება.

ეკ. ნაზარეტიანი.

პრესის მიმოხილვა

ბრძოლა გლეხობისათვის.

მოსკოვი. 19 მარტი. გაზ. „პრავ- და" მოწონავე წერილში აღნიშნავს, რომ გამწვავებულმა კლასთა ბრძო- ლამ დაუკნა პროლეტარიატს ბრძოლა გლეხობისათვის ბრძოლის პრო- ბლემა ერთის მხრივ და გლეხობისა- თვის ბრძოლის ამოცანები მეორეს მხრივ. გაზეთი სწერს: „ხშირად შემ- თანხმებელი ელემენტები, რომელნიც იმყოფებოდნენ რევოლიუციონურ მუ- შათა რიგებში, ილაშქრებენ კომუნი- სტურ ინტერნაციონალის სწორი პოლ- იტიკის წინააღმდეგ, კომინტერნის, რომელიც თავის ძოვალეობათ სთელის მოიპოვოს სიმპათიები გლეხთა ფენე- ბში. ამავე დროს რევოლიუციის მიმ- დინარეობამ დაამტკიცა, რომ საქი- რო იყო, რათა პროლეტარულ ავან გარდს ბრძოლაში გაეყვანა გლეხთა ქვეითა ჯარები. მხოლოდ ასე შეიძ- ლება ბურჟუაზიის დაძლევა. ამიტომ რევოლიუციის ყველა სტადიებ- ში პარტია აყენებდა მუშებსა და გლეხების კავშირის იდეას პროლე- რიატის ხელმძღვანელობით.

აგრონომიული დახმარება.

მოსკოვი. 19 მარტი, გაზ. „პრავ- და" 17 მარტის თარიღით ათავსებს წერილს „აგრონომიული დახმარება მცხოვრებთათვის", რომელშიაც აღნი- შნავს რა გლეხთა გაცხოველებულ ინტერესებს თავისი მეურნეობის აღ- დგენისადმი, აყენე ს მთელ რიგ ამო- ცანებს. უკანასკნელ ხანებში არსდე- ბა სარაიონო აგრონომიის ახალი ინ- სტიტუტი აგრონომების, ეკონომის- ტების, ორგანიზატორების და სანი- ფლო მეურნეობის სხვა და სხვა და- რგთა სპეციალისტთა შტატების მუ- თაურობით. ადგილობრივ აგრონომ- მების და მიწათ-მოქმედების ორგა- ნოების თავიდ ამოცანას უნდა შეა- დგენდეს სასოფლო-სამეურნეო საზო- გადოებათა, სხვადასხვა ამხანაგობათა და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სა- კრედიტო საზოგადოებათა დაარსება. მუშაობა უნდა წავიდეს იმ მიმართუ- ლებით, რომ ამ ამხანაგობაში და საზოგადოებებში ჩაბმულ იქნას წვრი- ლი ერთპიროვნული მეურნეობანი და შემდეგ კი უნდა გაფართოვდეს სა- ზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ამ მიზნით ჩვენი პარ- ტიის რიგებში ნაციონალურ სა- კითხის სფეროში, ამიერიდან ამოწუ- რულად უნდა ჩაითვალოს. ყრილობა- ზე გამოირკვა ყველა სადათ მიჩნეუ- ლი საკითხები. ყრილობამ გამოიჩინა ერთსულოვნობა თავის მუშაობაში და ამით დაამსხვრია ის იმედები, რომლებსაც ჩვენი მტრები ამყარებ- დნენ ჩვენი პარტიის ერთიანი ფრონ- ტის შერყევაზე და ამ გზით ცდილო- ბდნენ თავიანთი კონტრ-რევოლიუ- ციონური ზრახვების განხორციელე- ბის გა დეღებას.

ყრილობიდან პარტია გამოვიდა უფრო შეკავშირებული და შედუღე- ბული. და ეს ერთსულოვნობა არის არა ხელოვნური და მოჩვენებითი, არამედ მას საფუძვლად უდევს პარ- ტიის რიგების იდეოლოგიის მთლია- ნობა და მშრომელი მასსის ინტერე სების ერთნაირი შემეცნება.

ამ მთლიანობის კიდევ ერთი დე- მონსტრაცია მოგვცა ყრილობამ.

პოლონეთის და საბჭოთა რუსეთის აღმოსავლეთის ხაზღვრები.

მოსკოვი. 19 მარტი. გაზ. „იზვეს- ტიაში" ამბ. სტეკლოვი იხსნის ელჩთა საბჭოს დადგენილებას პოლო- ნეთის აღმოსავლეთის საზღვრების შესახებ, რომელი დადგენილების თა- ნახმად პოლონეთმა მიიღო ავსტრინის ტერიტორია და აგრეთვე აღ- მოსავლეთი გალიცია. სტეკლოვი იკითხება, რაზე ემყარება ელჩთა სა- ბჭო, როდესაც იგი სხვა ხალხების ბედ-იღბალს სწყვეტს. შემდეგ სტ ეკ- ლოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუ- სეთს არ შეუძლია გულგრილად უც- ქიროს თუნდაც მერყევ პოლიტიკოთა წონასწორობის დარღვევას. ეი ამი- ტომო, ამბობს სტეკლოვი, ჩვენ გვაქ ს უფლება ეჭვის თვალით უცქიროთ იმ ფარულ ვაჭრობას, რომელსაც ეწე- ვიან დიდი სახელმწიფოები, რომელ- ნიც თავის ნებაზე სწყვეტენ პატარა ერების ბედს. ჩვენ გვაქვს უფლება გამოვსთქვათ ეჭვი იმიტომ, რომ პო- ლიტიკური თამაში ჩვენს გარეშე, ალბათ, ჩვენ წინააღმდეგ სწარმოებს.

პარტიის უბრალო წევრთა ყრილო- ბის როლი.

მოსკოვი. 19 მარტი ამბ. სტეკლო- ვი „იზვესტიაში" ესერების პარტიის ყოფილ უბრალო წევრთა სრულიად რუსეთის ყრილების გამო აღნიშნავს, რომ ყრილობა მოწოდებულია სეროზული როლის შესასრულებლად. ყვე- ლაფერი ის, რაც იყო ესერების პარ- ტიაში, პატრონსინი, ცოცხალი, პრო- ლეტარული და რევოლიუციონური სასტიკ პროტესტს აცხადებს ესერთა წინამძღოლების პოლიტიკის წინააღ- მდეგ. თუ ყრილობა ახლის მთ ნი- ღაბს, მაშინ იგი დიდ სამსახურს გა- უწევს სოციალურ რევოლიუციას. სტეკლოვი გამოსთქვამს რწმენას, რომ ყრილობა არა მარტო გამოა- აშკარავებს ესერების წინამძღოლებს, არამედ შეუერთდება კიდეც კომუ- ნისტური პარტიის პლატფორმას და აღიარებს, რომ მხოლოდ ამ პარტიის რიგებში შეიძლება დღეს ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ მუშათა საქ- მისათვის. მთელ მსოფლიოში კაპი- ტალსა და შორის შორის გაჩაღე- ბულ ბრძოლის დროს ადგილი არ უნდა ქონდეს შერყეობას და სენტა- მენტალობას და გაბედულად უნდა იქნას გამოყენებული სათანადო პრაქ- ტიკული დასკვნები. ამიტომ წერი- ლის ავტორი მოუწოდებს ყრილობის მონაწილეთ ამოქმედონ ბოლომდე, თუნდაც რომ ისინი მარტოდ დარ- ჩენ.

ჩვენი საჰაერო ფლოტისათვის

სიტყვიდან საქმისაკენ

რევოლიუციონურ პერიოდში ცხოვრების სინამდვილე წინ უსწრებს მის ფორმალურად ჩამოყალიბებას, შეუმჩნეველი არ ითმენს შაბლონს, მით უფრო ვერ შეურიგდება ის სინამდვილის დავიწყებას. სინამდვილის მხედველობაში მიღება და შემოქმედება მთავარი ამოცანაა რევოლიუციის განვითარების პერიოდში.

სულ რამდენიმე ხნის წინად, შეუ- რიგდათ რა ჯართან და ფლოტთან ერთად ახალი სამხედრო ძალის—სა- ჰაერო ფლოტის არსებობას, ჩვენ მაინც ვერ წარმოგვედგინა ავიაცია ისეთ ფაქტორად, ურომლისოდაც ჩვე- ნი პლანების არსებობა შეუძლებე- ლია.

სინამდვილე, ანუ უკეთ რომ ვთქვათ —დღევანდელი დღე, გვაიძულებს სულ სხვა ვ ფიქროთ.

დღეს ჩვენ ვდგევართ ისეთი სარ- წმუნო და მასთან ერთად ძლიერი ფაქტის წინაშე, რომ **არ შეგვიძლია საჰაერო ფლოტი არ ავღაროთ ახალ ფაქტორად, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამ- ხედრო ხაქმიანობის, არამედ კულ- ტურისა და ქვეყნის ეკონომიური და სავარიო ძალების განვითარებისა- თვისაც.**

და ამ აზრით ეს ახალი ფაქტორი, როგორც უდიდესი მნიშვნელობის მქონე მთელი მსოფლიოსათვის, სა- ბჭოთა ფედერაციებისათვისაც არ უნ- და დარჩეს მეორე ხარისხოვან საკით- ხების რიგში.

კაპიტალთან ბრძოლაში ჩვენ გავი- მარჯვეთ, შევინარჩუნეთ არსებობა, მაგრამ ეს გამარჯვება მიტად ძვირად დაგვიჯდა.

პროლეტარიატმა ამით შეასრულა მხოლოდ ნაწილი თავისი ამოცანის. ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებუ- ლა. გამარჯვების შედეგად ჩვენ მი- ვიღეთ მხოლოდ შესვენების შესაძ- ლებლობა. წინ კიდევ მრავალი ბრძო- ლები გველჩება.

აი ამ შესვენების პერიოდში ჩვენ უნდა შევისწავლოთ წარსული გამოც- დილების შედეგები და გავითვალის- წინოთ მომავლის შესაძლებლობანი.

მომავალში ჩვენ გვიჭირს გადამ- ჭრელი ბრძოლა ჩვენს კლასობრივ მტერთან.

ახლა და მომავალში მორიგი ამო- ცანების მიხედვით ჩვენი რიგების გა- დაჯგუფების დროს, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს საორგანიზაციო მუ- შაობა, რომლის პროგრამას გვიკარ- ნახებს თანამედროვე ტეხნიკის კო- ლოსალური განვითარება.

თუ ამ დებულებას დავივიწყებთ, მთელი ჩვენი შრომა ეკონომიურ ფრონტზე ფუჭი იქნება.

და თუ ეს ასეა, ჩვენი წითელი სა- ჰაერო ფლოტის წინაშე მთელი თა- ვისი სიგრძე-სიგანით ისმება კითხვა მისი ორგანიზაციის და არსებობის შესახებ.

ამ კითხვის გადაჭრას ჩვენი პრო- ლეტარიატი, რომელიც ფუძეა საბ- ჭოთა აღმშენებლობის, გულგრილათ ვერ შეხვდება, რადგან მათთან მტკი- ცედ არის დაკავშირებული მუშათა კლასის მონაპოვართა განმტკიცება და განვითარება.

სამართლე უნდა ვთქვათ:

საჰაერო ფლოტს ჩვენ ხუხტათ ვიცნობთ, თითქმის არ ვიცნობთ მიუხედავად იმისა, რომ საჰაერო ფლოტი, ისე, როგორც საზღვაო, ყველ-ს მიერ ცნობილი ფაქტორი უნ- და იყოს.

ამ მოკლე წერილში შეუძლებელია საზღვარ-გარეთ ავიაციის საქმის მდგომარეობის დახასიათება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ერთი ცნობილი ამე- რიკელი ადმირალის შემდეგი შე- ნიშვნა: „თუ ჩვენი სამხედრო გემები ვერ შეეჩვენენ ყვითვას, მათ განად- გურება მოელის"-ო, საყურეთსო მაჩ ვენებელია იმ დიდი მომავალის, რო- მელსაც საჰაერო ტეხნიკას თანამედ- როვე განვითარება ანიჭებს ავიაციას.

მეორე ამერიკელი ადმირალი სკოტ- ტი ამბობს: „დრედნოუტი მოკვდა, მომავალი ავიაციას ეკუთვნის".

ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით ავიაციის შესახებ.

აბა რამდენ საიდუმლოებას მალა- ვენ საზღვარ-გარეთის ფაბრიკა-ქარხ- ნები და ლაბორატორიები!

საჰაერო მიმოსვლა, ოკეანეზე და უდაბნოებზე გადაფრენა დღევანდე- ლი დღის მორიგი ახალი ამბებია.

საფრენი მანქანებით 1500 ფუთი სიმძიმის გადატანაც დღევანდელი დღის სინამდვილეა.

ავიაციის მიერ მიღწეულ შედეგე- ბის გამოყენება სამეურნეო, ეკონო- მიურ და კულტურულ მიზნებისათ- ვის არ შეადგენს სიძნელეს, თუ რა- საკვირველია საჰაერო მანქანების შე- საძენათ და დასამზადებლათ თანხები მოიპოვება.

ამ ფრიად დიდ ხახელმწიფოებრი- ვი მნიშვნელობის საკითხისადმი ჯულგრილად მოპყრობა პირდაპირ დანაშაულია.

ჩვენი წითელი სამხედრო ფლოტი გერის მდგომარეობაშია, ის იზრდე- ბა რესპუბლიკის ფართე შემოქმე- დების გარეშე.

რევოლიუციის დღეებში ის გა- ცოცხლდა და ვითარდებოდა საკუთა- რი ძალების ამარა.

უეურადღებოთ მიტოვებული, ის მარტო იყო იმ მძიმე მუშაობაში, რომელიც მას ხვდა წილად სამო- ქალაქო ომის პერიოდში, მუშათა კლასის იდეალებისათვის ბრძოლის დროს, რომლის შედეგებით ჩვენ ახლა ვსარგებლობთ.

რამდენი ბრწყინვალე ფურცლები აქვს ჩაწერილი რევოლიუციონურ ბრძოლის ისტორიაში ამ უცნობ წი- თელ ფრინველებს!

რასაკვირველია, ფიქრი იმ შესაძ- ლებლობებზე, რომელსაც გვიხატავს ავიაციის განვითარება, იმ რესურსე- ბით, რომელიც ჩვენ განკარგულებაში არის, ზედმეტია.

დაკ. კი არ ითმენს.

სამხედრო საჰაერო ფლოტის სა- კითხი დღის წესრიგში დგას და რეს- პუბლიკის ხაზოგადოებრივი აზრი- მან უკურადღებოთ ვერ დახტო- ვებს.

წითელი საჰაერო ფლოტის მეგო- ბართა საზოგადოებამ თავის გარშე- მო უნდა შეკრიბოს ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ავიაციის მიერ მიღწეული შედეგები არა მარ- ტო სამხედრო სამის სფეროში, არამედ უმთავრესად ეკონომიურ და სამეურნეო ძალების განვითარებისა- თვის.

მან უნდა მოაწყოს შემოწირულე- ბათა და სხვა საშვალებათა შეკრება სახელმწიფო წითელი საჰაერო ფლო- ტის ასაღორძინებლად.

თითეული ახალი საფრენი აპარა- ტი უდიდესი გამარჯვებაა ჩვენი ნორჩი საჰაერო ფლოტის.

ჩვენ ^ 2 მაერო ფლოტი სახმრახფო დახმარებას საჭიროებს.

ამ დახმარებას შემთხვევითი ხასია- თი კი არ უნდა ქონდეს, ის რეგუ- ლიარული უნდა იყოს.

საბჭოთა რესპუბლიკების მოკალა- ქეთა მუდმივი გაძლიერებული ზრუ- ნვა წითელ ფრინველებისადმი,—აი რა უნდა დაედგას საფუძვლად წი- თელი საჰაერო ფლოტის აღმშენებ- ლობას.

მით უფრო, რომ საჰაერო ფლოტი საჭიროა არა მარტო სამხედრო მიზ- ნებისათვის, არამედ ქვეყნის კულტუ- რული და ეკონომიური განვითარე- ბისთვისაც.

დღეს საჰაერო ფლოტი სამხედრო ამოცანებს ასრულებს, ხვალ კი „შეს- ვენების" პირობებში ჩვენ შეგვიძლია ის ეკონომიურ და სასოფლო-სამეურ- ნეო ფრონტზე სამუშაოთ გადავიყ- ვანოთ.

ამის მტკიცება ნიშნავს ლაპარაკს რკინის-გზის ან ფოსტა-ტელეგრაფის სარგებლობაზე.

ავიაცია უფრო ნაკლებ დროსა და საშუალებებს მოითხოვს, ვიდრე რკი- ნის გზის ხაზის გაყვანა, რომელსაც მეტად დიდი შტატი და შრომა სჭირია.

ტეხნიკის არც ერთი დარგის ასე ყოველმხრივ გამოყენება არ შეიძ- ლება, როგორც საჰაერო ფლო- ტის.

ᲛᲐᲕ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲗ ᲡᲐᲫᲘᲔᲡ.

პროლეტარული გატაცებით და ენერგიით შეექმნათ წითელი საჰაერო ფლოტი—სიამაყე საბჭოთა რესპუბ ლიკებისა, რომელიც დაგვიცავს ჩვენ კაპიტალის თავდასხმისაგან და უდი- დეს სამსახურს გაგვიწევს კულტურულ, ეკონომიურ და სასოფლო-სამეურნეო ფრონტებზე.

დეე მომავალი „წითელი საჰაერო ფლოტის კვირა" შეიქმნეს ნიშანი ამ ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობის და- წყებისა.

ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორ- განიზაციებმა და დაწესებულებებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რომ დაწყებულმა მუშაობამ პრაქტი- კული შედეგები მოგვცეს.

დეე მედგრად გაიშალოს ჩვენი წი- თელი ფრინველის ფრთები.

ა. ეგოროვი.

რაციო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

რეაქციონერთა მოქმედების გაძლიე- რება.

მოსკოვი. 19 მარტი. რურის ოლქ- ში შემჩნეულია ფარული რეაქციონურ ორგანიზაციათა გაძლიერებული მოქ- მედება. კერლში ინგლისის ხელისუფ- ლებამ კონფისკაცია უყო ასაფეთქე- ბელ ყუმბარებს, რომელთა საშვალე- ბით განზრახული იყო რკინის გზის დანგრევა.

ბატონობენ.

მოსკოვი. 19 მარტი. დიუსელდორ- ფის ყველა სადგურები დაკავებულია ფრანგების მიერ. რკინის გზის გერ- მანელი მოხელენი განდევნილი არიან საოკუპაციო ხელისუფლების მიერ სადგურის ყველა შენობებიდან.

ეშინიათ ხაბოტაჟის.

მოსკოვი. 19 მარტი. საბოტაჟის და რკინის გზის ლიანდაგის დანგრევის თავიდან ასაცილებლად, ფრანგები მატარებლებს გზავნიან არა მთავარი ხაზით, არამედ დიუსელდორფ-ესენის შტოით.

კომუნისტების დაპატიმრება.

მოსკოვი. 19 მარტი. კაიზერსლა- ურტენში საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების მიერ დაპატიმრებულია 3 კომუნისტი ანტი-მილიტარისტულ პროპაგანდისათვის. კომუნისტთა შო- რის მოხდა ავრეთვე მრავალი გა- ჩხრეკები.

ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲓᲔ-ᲓᲔᲑᲐ" ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲐᲗ.

მოსკოვი. 19 მარტი. ჟურნალი „დე-დება" უარყოფს რა ხმებს, თით- ქოს გერმანიის მთავრობას განზრა- ხული აქვს მიმართოს მოკავშირეებს კონკრეტიული წინადადებით, აღნიშ- ნავს, რომ ნეიტრალურ სახელმწიფო- ებმა ნაცვლად საფრანგეთისადმი ბრალდებისა, უნდა შეეცადონ აიძუ- ლონ გერმანია დაემორჩილოს აუცი- ლებლობას.

არ ხურთ რურის მოცილება.

რომი, 18 მარტი. საფრანგეთის პალატის კომუნისტურმა ფრაქციამ წინადადება შეიტანა პალატაში რუ- რის ოკუპაციის შეწყვეტისა და რუ- რიდან ჯარების გამოყვანის შესახებ. 466 ხმის უმრავლესობით 67 ხმის წი- ნააღმდეგ კომუნისტების წინადადება უარყოფილია.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების საკითხი

სადაც კვამლი სჩანს, იქ ღუმელ- ი იქნება.

ბერლინი. 18 მარტი. გუშინ სტი- ნნესი საჯაროთ უარჰოფს „ურნალ დე პარი"-ს კორესპონდენტის ცნო- ბას, თითქოს მას მოლაპარაკება ქონ- და შეეიცარიის რურის კონფლიქტში შერევის შესახებ. ბერლინის ოფიცია- ლური წრეები უარყოფდენ ავრეთვე ხმებს ახალ საკონტრიბუციო წინად- დებებისა და გერმანიის წარმომად- გენლების ანგლისის ბანკის დირექ- ტორთან ნორმანთან შეხვედრის შე- სახებ.

მაკდონალდის განზრახვა.

რომი. 18 მარტი. ლონდონში შეს- დგა თემთა პალატის მუშათა ფრაქ- ციის კრება, რომელსაც მიზნათ აქვს საკონტრიბუციო საკითხის განხილვა და მისი პრაქტიკულ მოწესრიგე- ბისათვის საშუალების გამონახვა. ინგ- ლისის საპარლამენტო მუშათა ფ

საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობა

არჩევნები.

ცენტრალური კომიტეტის წევრები.

1. ბოლქვაძე ი., 2. გეგეჭკორი ა., 3 გოგია ვ., 4. გურგენაძე კ., 5 დოლიძე ა., 6 დუმბაძე ლ., 7. ელიავა შ., 8 ვარაჩვი, 9. ჯაფარიძე ა., 10. კახიანი მ., 11. კვანტალიანი ლ., 12. კორჩილაძე, 13. ლაკობა ნ., 14. ლომინაძე ბ., 15. ლორთქიფანიძე დ., 16. მამულია ხ. 17. მახარაძე ფ., 18. მამია ორახელაშვილი, 19. ოკუჯავა მ, 20. ხვანიძე ნ., 21. ხატურია ვ., 22. ხუხაშვილი ლ., 23. ტოროშელიძე მ., 24. ქართველიშვილი, 25. ჭურდაძე ვ., 26. გ. ყურულაშვილი, 27, ცხაკაია მ.

ც. კ წევრების კანდიდატები.

1. ადამიძე თ., 2. აკირგავა ნ., 3. გეორგაძე გ., 4. დევდარიანი გ., 5. ყულუტა თ., 6. ივანოვ-კავკასკი, 7. კოკაძე ნ. („კომუნ.“ რედ.). 8. ლალოშიძე, 9. რატიშვილი, 10. რუბენი, 11. ჯუღელი ს., 12. ქავთარაძე ლ., 13. ქავთარაძე ა., 14. შაბანოვი.

საკანტროლო კომისიის წევრები:

1. ალი ტაგი-ზადე, 2. ფოფიაშვილი ლ., 3. ლეჟავა, 4. მახნულია, 5. მორჩილაძე, 6. სოლოვიანი, 7. ჯორბენაძე.

კანდიდატები:

1. გეიდენი, 2. იტრიევი, 3. ლომიძე.

ს რევ ზიო კომისიის წევრები:

1. ვაშაკიძე, 2. კალანდაძე, 3. მარკაროვი, 4. სანაკოევი, 5. ფანცულაია.

„ნაციონალური მოძრაობა პარტიულ და სახელმწიფო გ-ივაღმშენებლობაში“

(რეზოლუცია)

მოისმინა რა მოხსენება „ნაციონალურ მომენტზე პარტიულ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში“ ს. კ. პ. მეორე ყრილობა ადგენს:

I

მტკიცედ და ურყეყად იქნეს დაცული რ. კ. პ. მეათე ყრილობის და ს. კ. პ. პირველი ყრილობის რეზოლიუციები ნაციონალური კითხვის შესახებ. ყრილობა მოუწოდებს პარტიას სასტიკათ ებრძოლოს ყოველგვარ გადახრას ამ რეზოლიუციების ხაზიდან.

ყრილობა ამტკიცებს ყველა იმ თეზისებს, რომლებიც მიღებულია ცენტრალურ კომიტეტის მოქმედების შესახებ გაკეთებულ მოხსენებით და წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს იხელმძღვანელონ იმ თეზისებით.

ყრილობას საჭიროთ მიაჩნია ნაციონალური რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების უფლება-მოვალეობათა გარკვევა წესდების სახით და ავალებს თავის დელეგაციას დასვას ეს კითხვა რ. კ. პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე.

ამიერ-კავკასიის ერების გაერთიანება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში ყრილობას მიაჩნია ერთად-ერთ შესაძლებელ ფორმათ ამიერ-კავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად და აუცილებელ წინასწარ პირობათ ჩვენი დანგრეული მეურნეობის ასაღორძინებლათ.

ყრილობა ესალმება საბჭოთა რესპუბლიკების ერების საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში გაერთიანებას, რომელიც უკანასკნელი ეტაპია საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე ერების თანამშრომლობის განვითარებისა და წარმოადგენს მშრომელთა სამხედრო სამეურნეო და პოლიტიკურ კავშირის საუკეთესო ჯერ არ ნახულ ფორმასს.

საქ. კომ. პარტიის მეორე ყრილობა აღიარებს რა სწორათ პარტიის ტაქტიკას ამიერ-კავკასიაში ნაციონალური კითხვის გადაჭრაში და ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკის შექმნაში, მიზანშეწონილად სცნობს დადგენილებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ამიერკავკასიის ფედერაციის საშუალებით შესვლის შესახებ. ამასთან ერთად ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ყველა იმ ერებისათვის, რომლებიც უშუალოდ ან საკუთარი ფედერაციების სახით შედიან ს. ს. რესპუბლიკის კავშირში, თანასწორი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, რისთვისაც მიზანშეწონილი იქნებოდა პარალელურად მეორე პალატის სახით საკავშირო ორგანოს შექმნა, სადაც თვითეულ ეროვნებას ეყოლებოდა თანასწორი რიცხვი წარმომადგენლებისა.

რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური ორგანოები (საკავშირო ცენტრ. აღმასკ. და სახ. კომ. საბჭო) წარმოადგენენ კავშირის მუშათა და გლეხთა ინტერესებს განურჩევლად ეროვნებისა, მეორე პალატა კი დაიცავდა ცალკე ერების სპეციალურ მოთხოვნილებებს და საჭიროებათ.

პირველი პალატა უნდა ირჩიოს რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობამ, მეორე კი ცალკე რესპუბლიკების ცენტრ. აღმასკომებმა თანასწორი რიცხვით თითეულ რესპუბლიკიდან. არსებული კანონები, უნდა გატარდეს ორივე პალატაში რომლებიც იკრიბება პერიოდულათ და არა ჩევს მათ ცალ-ცალკე.

საკავშირო აღმასკომების და სახკომსაბჭოების პრეზიდიუმს ირჩევს ორივე პალატის შეერთებული სხდომა, სესიები შორის პერიოდებში საკავშირო აღმასკომის პრეზიდიუმი უზენაესი ხელისუფლების შატარებელია. მეორე პალატაში საქართველოს წარმომადგენლობასთან ერთად თითო წარმომადგენელი ეყოლება აგრეთვე ხელშეკრულებაში მყოფ რესპუბლიკას აფხაზეთისას, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

ამ კავკ. ს. ს. რ. ორგანოების კონკრეტიული ფორმები და განაწილება, სახალხო კომისარიატებისა ამ. კავკ. ფ.ს. ს. რ, და ს. ს. რ.კ. დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის, უნდა გაირჩეს რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობის კომისიებში „ნაციონალური მომენტი პარტიულ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის“ საკითხთან დაკავშირებით.

პროფკავშირთ ამოცანები

(ამხ. ყურულაშვილის მოხსენება)

ამხ. ყურულაშვილი იწყებს მოხსენებას უდიდეს საკითხიდან—ხელფასის საკითხიდან. 1922 წლის ივლისამდე ხელფასის განსაზღვრა დამოკიდებული იყო სრულებით პროფკავშირებისაგან, ივლისიდან კი ხელფასის მოწესრიგების პოლ-ტიკა შეიცვალა: ხელფასი ისაზღვრება კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების გზით.

მომხსენებელი ციფრების საშუალებით ასურათებს ხელფასის თანდათანობით ზრდას. ხელფასმა უმაღლეს წერტილს მიაღწია წარსული წლის ნოემბერში, როდესაც ის მე-6 ე ხარისხის სამრეწველო ჯგუფებისათვის 23 მანეთში გამოიხატებოდა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ სამრეწველო დარგებში ხელფასმა მიაღწია მშვიდობიანობის დროის ნორმის ორ-მესამედს. ზოგიერთ დარგებში კი, როგორიც არის, მაგალითად, თამბაქოს წარმოება, ხელფასი უკვე აღწევს, და კიდევაც აღემატება, მშვიდობიან დროის ნორმას.

თუ თამბაქოს წარმოებაში ხელფასის სიმაღლეს 1913 წელში 100 პროცენტათ მივიღებთ, 1921 წელში ხელფასი 114 პროცენტათ გამოიხატება და 22 წელში კი—128 პროც.

გადადის რა შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხზე, ამხ. ყურულაშვილი აღნიშნავს, რომ ნაყოფიერება, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც იზრდება. მაგალითად, ტყავეულობის მრეწველობაში, თუ 1913 წლის ნორმას 100 პროცენტათ მივიღებთ, 1921 წ. ნაყოფიერება უდრის მხოლოდ 25 პროცენტს მშვიდობიან დროის ნორმასთან შედარებით და 1922 წელში კი ის აღწევს 60 პროცენტს.

ამ ფაქტათ, აბგზას მომხსენებელი, არ არის არც ერთი დარგი მრეწველობისა, რომელშიც ნაყოფიერება, ომამდე არსებულ ნორმას ის შეადარებით, 80 პროცენტზე ნაკლები იყოს.

შემდეგ მომხსენებელი სამრეწველო ჯგუფების ხელფასიდან სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასზე გადადის. ამხ. ყურულაშვილი აქაც ციფრების სახით აღნიშნავს ხელფასის ზრდას. ნოემბერში ხელფასი უდიდესია, დეკემბერში ის ცოტა დაიწია და იანვრიდან ის ისევ იზრდება. მარტისთვის დამტკიცებული ხელფასის შემდეგი განაკვეთები: 1 ხარისხისათვის—4 მან 29 კაპ., მე-6 ხარისხისთვის—8 მან. 58 კაპ.

რათა ხელფასს არ დაეკარგოს რეალური მნიშვნელობა, პროფკავშირები დიდ ყურადღებას აქცევენ ხელფასის დროზე გადახდას. მარტის ხელფასი გადახდილი უნდა იქნას 20 აპრილისათვის, რისთვისაც ფონანსთა სახალხო კომისარიატი გასცემს თავის ფონდებს უახლოეს მომავალში. ამნაირათ დაცულია ხელფასის რეალური მნიშვნელობა.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ხელფასის გადიდების საქმეში საქართველოს პროფკავშირებმა შედარებით კარგი შედეგები გამოიტანეს, ვინაიდან რუსეთში ხელფასი, მცირე გამონაკლისით, უფრო მცირეა, ვიდრე აქაურ კავკასიაში.

მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.

შემდეგ ამხ. ყურულაშვილი სოციალურ დაზღვევაზე, სამკურნალო დახმარებასა და დასვენების სახლებზე გადადის. აღნიშნავს რა გაუმჯობესებას ამ სფეროში, ამხ. ყურულაშვილი ამბობს, რომ ამ მხრით საჭიროა პარტიულ ორგანიზაციების დახმარება, ვინაიდან ყველა დაბრკოლებების გადალახვა მეტად საძნელოა. სეზონის დასაწყისისთვის განზრახულია მოეწყოს ამბასთუმანში ჭლექიანებისათვის კურორტი და აგრეთვე აგარაკები ბორჯომში, წაღვერში, მცხეთაში და სხვა ადგილებში.

მუშათა კოოპერაციაში, მარტოდენ ტფილისში, ჩართული არიან 35 ათასი მუშა.

კავშირთა კულტურული მუშაობა.

მიუხედავათ დიდი დაბრკოლებებისა, პროფკავშირებმა შედარებით კეთილი შედეგები კულტურულ-განმანათლებელ მუშაობიდანაც გამოიტანეს. (პროფესიონალურ მოძრაობის კურსები და წრეები, საქართნო სკოლები, კლუბების მოღვაწეობა და სხვა).

ამ ჟამათ ირიცხება 75 წერა-კითხვის სკოლა, 32 წლის მარტში კი მხოლოთ 20 იყო. არის ორი მუშათა ფაკულტეტი, რუსული და ქართული 662 მაძღელთა საერთო რიცხვით, ნოემბრიდან გამოდის მასსიური მუშათა გაზეთი „მუშა“, რომლის ტირაჟი ამ ჟამათ 6.500 ცალს უდრის.

პროფკავშირთა ავტორიტეტის განმტკიცება.

პროფკავშირთა ავტორიტეტი მასსებში იზრდება. საბჭოთა ხელისუფლების დროს არ იყო არც ერთი გაფიცა პოლიტიკურსა ან ეკონომიურ ნიადაგზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1921 წ. ნოემბრის მენშევიკების პროვოკაციულ ცდას. პროფკავშირები დიდ ყურადღებას აქცევენ კავშირების შემადგენლობის ღირსებას. უვარგისი ელემენტი განდევნილია პროლეტარულ რიგებიდან. ქალ. ტფილისში უკანასკნელ წლებდის დროს გამორიცხულია 1.585 კაცი.

ახალგაზრდათა კომკავშირი

(იხ. დეკდარიანის მოხსენება)

სიტყვა მოხსენებისათვის ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის მუშაობის შესახებ მიეცა ამხ. დეკდარიანს.

ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას მოღვაწეობა დაიწყო სრულიად საქართველოს მე-2-რე ყრილობის შემდეგ, ივნისიდან. ჩვენმა პარტიამ მეტად დიდი მოვალეობები დააკისრა 180 პარტიის წევრებს—სახელდობრ მოვალეობა მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის აღზრდის საქართველოში. ჩვენი უმეღესი ორგანოების დადგენილების თანახმად ჩატარებულ იქნა 1921 წლის შემოდგომიდან კავშირის გაწვრთნა. ეს თითქოს გამოწვეული იყო იმისგან, რომ ახალგაზრდათა ორგანიზაციებში შეპარული არიან ბოროტი და არა საიმედო ელემენტები, რომლებიც უნდა განდევნილიყო კომუნისტურ ახალგაზრდობის რიგებიდან. მაგრამ, როგორც გამოირკვა, სხენებულმა გაწვრთნამ ვერ მოიტანა დადებითი შედეგები, პირიქით მან დაშალა კომახალგაზრდობის ზოგიერთი ორგანიზაციები, ხოლო 1922 წლის დასაწყისში შემოღებულ ახალი სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით ხდებოდა შტატების უწესრიგო შემცირება. მთელი სომხეთის შტატების შემცირებისა დაიწვა მშრომელ ახალგაზრდობას. ამრიგად ჩვენ წინაშე დადგა ამოცანა ჩვენი რიგების გაძლიერება-განმტკიცებისა, რაც მიღწეულ იქნა იმ ენერგიული მუშაობის წყალობით, რომელსაც აწარმოებდა როგორც ძველი, ისე ახალი ცეკა. გადაგზავნილ იქნენ მაზრებში 180 ამხანაგი, რამაც მოგვცა საშუალება ივნისში შეგვექმნა მჭიდრო ორგანიზაცია. ჩვენ მშრომელ ახალგაზრდობასთან მჭიდრო კავშირისა და დაახლოების მიზნით გავაუქმეთ რაიონული კომიტეტები, რათა სამაზრო და ცენტრალურ კომიტეტებს ჰქონოდათ საშუალება გასცრობოდენ ახალგაზრდათა მასების მოთხოვნილებებს. მას შემდეგ, რაც ჩვენ საკმარისად გავმაგრდით და ჩამოვყალიბდით ორგანიზაციულად, აუცილებელი საჭირო იყო ეკონომიურ მუშაობის გაძლიერების საშუალებით მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასები მიგვემხრო და ჩაგვება ჩვენს რიგებში.

კონტრ-რევოლიუც. ორგანიზაციებთან ბრძოლა

საჭირო იყო პრაქტიკურ შეტევაზე გადავსულიყავით მტრების წინააღმდეგ, რაც დაახლოებით დაიწყო გასული წლის ივლისისა და აგვისტოს თვეებში. ამ მიზნისათვის ჩვენ გავაძლიერეთ პოლიტგანმანათლებელი მუშაობა ჩვენს კავშირებში ჩვენი ორგანიზაციები, თანდათანობით დაიწყო ჩვენს ორგანიზაციებში და 1922 წლის იანვრიდან გადავედით პოლიტიკურ შეტევაზე მტრების წინააღმდეგ. ამრიგად პირველ ჩვენ ამოცანას წარმოადგენდა ახალგაზრდათა ყველა იმ ორგანიზაციების დაშლა, რომლებიც წარმოადგენდნენ მხოლოდ კონტრ-რევოლიუციის ბუდეს. ასეთები იყვნენ: „შეიარდენი“, „სოკოლი“ და „სკაუტები“. ამის შემდეგ ჩვენ შეუდექით მუშაობას მოსწავლე ახალგაზრდობის შორის. აუცილებლად საჭირო იყო მოსპობა ახალგაზრდათა კონტრრევოლიუციონერების შტაბის, რომელმაც გაიკეთა ბუდე უნივერსიტეტებში. ამ მხრივაც ცენტრალურმა კომიტეტმა მიაღწია მიზანს. დიდი ყურადღება გვქონდა მიქცეული უპარტიო ახალგაზრდობაზე, განსაკუთრებით მოსწავლე. ახალგაზრდობაზე. მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობაში ჩვენი მოწინააღმდეგე ელემენტები არ მოიპოვება. ეს ფესვი არსებობს მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობაში და ამ ფესვების არმოფხერა, მათი მოსპობა წარმოადგენდა ჩვენს საპასუხისმგებლო ამოცანას. უმაღლეს სასწავლებლების გაწვრნდის შემდეგ შემჩნეულია დიდი წინ წაწევა მოსწავლე ახალგაზრდობის საბჭოთა სელისუფლებისადმი კეთილ დამოკიდებულების მხრივ.

ანტი რელიგიური კამპანია.

შემდეგ ჩვენ დავიწყეთ ანტი რელიგიური კამპანია კომუნისტურ ახალგაზრდობის შორის დღესასწაულით. შექმნილ იქნა ცენტრალური კომისია და ჩავატარეთ კომახალგაზრდობის შობის დღესასწაული ოთხ ადგილზე. დღეს ჩვენ ვდგევართ იმ ფაქტის წინაშე, რომ მაზრებში, ქალაქებში და სოფლებში ის ტარდება განსაკუთრებულის ტ მასით.

კულტშაკ-ბანდიანთ ხელი მუშაობაზე.

განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული მშრომელ ახალგაზრდობის პოლიტიკურად აღზრდას და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. ჩვენ მივეცით დავალება ორგანიზაციებს 1 იანვრამდე მოეხდინათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია 50 პროც. ამ მხრივაც მივაღწიეთ დიდ შედეგებს. ამ ჟამათ წერა-კითხვის უცოდინარობა რიცხვი უდრის 13 პროც. წერა-კითხვის უცოდინარნი არიან კავშირის ახალი წევრები.

საქართველოში ამ ჟამად არსებობს 17 მარქსისტული წრე, საპროპაგანდო კოლექტივი—33, პოლიტიკური წრეები—369, კლუბები—39, დრამატიული და სხვა და სხვა წრეები 108, ამ მომართულებით, რომ სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა, ამას ის ამტკიცებს, რომ ტფილისში არის ისეთი პოლიტიკური წრეები, სადაც წევრთა რაოდენობა 100-ს უდრის გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს აგრეთვე მაზრებშიც, მაგ. სენაკის მაზრაში 60 წრეა.

კავშირი ადგილებთან.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობას, კავშირი ადგილებთან საუკეთესოა. აგვისტოში შესდგა სამაზრო კონფერენცია, რომელსაც ჯამი უნდა გაეკეთებია მე-2 ყრილობის მუშაობისათვის და შეეთანხმებინა ის ადგილობრივ პირობებთან.

დიდი ხანი არ არის, რაც შესდგა პლენუმის სხდომა, რომელზედაც გამოირკვა, რომ ჩვენი მდგომარეობა მტკიცეა. საბჭოთა აღმშენებლობაში ჩვენი მონაწილეობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩვენ აქტიური მონაწილეობას ვღებულობდით სასურსათო გადასახადის კამპანიებში და მუშაობაში კოოპერაციიდან მენშევიკების და სხვა კონტრ-რევოლიუციონერების გამოსაძევებლად.

ამიერ-კავკასიის კომპარტიის მეორე ყრილობა

ყრილობის გახსნა.

გუშინ, სასახლის „წითელ დარბაზში“ გაიხსნა ა. კ. კომ. ორგანიზაციების მეორე ყრილობა. ყრილობა გახსნა ამხ. მ. ცხაკაიამ, რომელმაც წარმოსთქვა მოკლე მისასალმებელი სიტყვა.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხხ. ცხაკაია, ორჯონიკიძე, მიასნიკოვი, ლუკაშინი, კიროვი, ორახელაშვილი, აღამალი-ოღლი, ამბარცუმიანი, ელიავა, მუსაბეკოვი, ნარიმანოვი, მახარაძე, კახიანი, ახუნდოვი, ვეგეჭკორი, ერაჩევი, გინსბურგი.

სამდივნოში: ამხხ. სვანიძე, კარაევი, ყურულაშვილი, ვარეიკისი.

სამანდატო კომისიაში: ამხხ. ივანოვ-კავკასსკი, შაავერდოვი, იაგუბოვი, ლაკობა, გორობჩენკო.

სარედაქციო კომისიაში: კასიმოვი, რუბენი, პოლუიანი, ტაკოევი, მეგრაბიანი, ჯაფიევი.

საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმათ იქნენ არჩეულნი: ამხხ. ლენინი, სტალინი, ზინოვიევი, კამენევი, კაშენი, კლ. ცეტკინი.

მიღებულია ყრილობის შემდეგ დღის წესრიგში: 1) საოლქო კომიტეტის პოლიტ.—ორგ. ანგარიში, 2) საკონტრ. კომისიის მოხსენება, 3) სარევიზიო კომ. მოხსენება, 4) ახ. კომკავშირის საოლქო კომ. მოხსენება, 5) ფინანსიური რეფორმის შედეგები და გადასახადების პოლიტიკა, 6) ნაციონალური მომენტი პარტ. და საბჭოთა აღმშენებლობაში, 6) საორგანიზაციო საკითხი, 8) საკითხები სამეურნეო აღმშენებლობის, 9) არჩევნები, 10) სხვადასხვა.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ყრილობაზე ამხ. ორჯონიკიძის მიერ გუშინ საღამოსვე მიღებულმა ამბავმა ამხ. ლენინის ჯანმრთელობის შესახებ.

„ჩვენ შეკითხვაზე პირადაი მავთულით ამხ. ავღელი გვატყობინებს მოხუცის ჯანმრთელობის შესახებ. სამჯერ ვათ გაუმჯობესების შესახებ. სულიერი განწყობილება მოსკოვის ოპტიმიზმშია, იმედი ვა.

კამენევი, კუიბიშევი, ვოროშილოვი“.

ამ ცნობაზე მთელი ყრილობა ფეხზე სდგება და ხვდება მას ხანგრძლივი ოვაციებით. ისმის ამხ. ბუდუს მჭეხარე ხმა: „გაუმარჯოს ჩვენს ილიჩს“. ამ ხმაზე ძლიერი ოვაციები კვლავ გრძელდება. მთელი ყრილობა მღერის ინტერნაციონალს.

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება

მოხსენებას ა. კ. საოლქო კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ აკეთებს ამხ. ს. ორჯონიკიძე, რომელსაც ყრილობა ეგებება ხანგრძლივი ტაშის ცემით.

ორგანიზაციულ საკითხზე მოხსენებით გამოვა ამხ. მიასნიკოვი.

ციტრუსის რეალიზაციაზე

რუსეთი

პარტიული კონფერენცია.

მოსკოვი. 19 მარტი. ხარკოვში ზეიმით გაიხსნა ხარკოვის მე-7-ე საგუბერნიო პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე მისალმებით გამოვიდენ მრავალი ქარხნების და ფაბრიკების დელეგატები, რომლებმაც საგუბერნიო კომიტეტს უპარტიო მუშების სახელით მიართვეს სპარტიო დროშები და სიგელები.

მუშები ესალმებიან თავიანთ მეგობრებს—რ. კ. პარტიას.

მოსკოვი. 19 მარტი. კიევში გაიხსნა საგუბერნიო პარტიული კონფერენცია. კონფერენციის მუშაობის პირველი დღე გამოირჩია მუშების გრანდიოზულ მანიფესტაციაში.

ქუჩაში საგუბერნიო აღმასკომის წინ გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება. რომელზედაც უპარტიო მუშები მხურვალედ ესალმებოდენ პარტიას და აცხადებდენ მის რიგებში შესვლის სურვილს.

საბჭოთა რუსეთის ცნობის თვის

გუვერნის წინადადება.

მოსკოვი. 19 მარტი. „გაწინაგტოანდან იტყობინებიან, რომ სენატში იუზის წინააღმდეგ და საბჭოთა რუსეთის ცნობის დამცველთა გამოვიდა გუვერი. ამის ოფიციალური დატყო გუვერი ჯერ არ არის მიღებული. ხმები დადის, რომ გუვერმა წარუდგინა მთავრობას თავის აგენტების მოხსენებანი, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხმწირთ დეპარტამენტის რეკომენდ რუს ემიგრანტთა ინფორმაციას. ფლეტჩერმა, ხალხმწირთ დეპარტამენტის მთავარმა, ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე განაცხადა, რომ მისი დანიშნულება ის არის, რომ ამერიკის მთავრობას ურჩიოს, რომ ის ცნოს საბჭოთა მთავრობა, როგორც ეს ინგლისმა და იტალიამ გააკეთეს.

დეპუტაციები ლენინის სანახავად.

მოსკოვი. 19 მარტი. ლენინის ჯანმრთელობის ამბავი მიიღეს ყველა ქალაქებიდან და სოფლებიდან. ლენინის სანახავად მოდიან დეპუტაციები ქალაქებიდან და სოფლებიდან. ლენინის ჯანმრთელობის ამბავი მიიღეს ყველა ქალაქებიდან და სოფლებიდან. ლენინის სანახავად მოდიან დეპუტაციები ქალაქებიდან და სოფლებიდან.

ესერთა პარტიის ძველი უცვლელი წევრების ყრილობა

მოსკოვი. 17 მარტი. მოსკოვში 17 მარტს ურალის ესერების ინიციატივით იხსნება ესერთა პარტიის ძველი წევრების ყრილობა. ყრილობის საორგანიზაციო ბიურო გაზ: „ერთან ფრონტ“-ში აქვეყნებს პრინციპებს, რომლებზედაც ერთდებიან ამ ყრილობის მონაწილენი. ბიუროს დეკლარაცია, ეხება რა ესერთა პარტიის ისტორიას თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, სთელის უკანასკნელი ხანის მუშაობას ფრიად ძავნებლათ მშრომელთა მასსების ინტერესებისთვის და ესერთა პარტიის კრიზისს სახავს, როგორც კერენსკიზმით მოვლენას სოციალიზმის სამსოფლო კრიზისისას, რომელმაც ვერ გადასჭრა მომენტის ამოცანები. ამავე დროს დეკლარაცია აძლობს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ნამდვილი რევოლიუციონური სოციალისტური ელემენტები დაირაზმენ საერთაშორისო პარტიაში. ის ავანგარდის ფრონტზე. დასასრულ ჩვენი მეურნეობა, რომელიც დღეს იზრდება მომთხოვს დახელოვნებულ და განვითარებულ მუშებს ახალ ნაკადს. ამიტომ მუშათა აზრდასა და მის ცხოვრებაზე ვა ეს საბჭოთა რესპუბლიკების მეთა და მათი აღმასრულებელ განოს—საბჭოთა ძალაუფლების ძირითად ამოცანას წარმოადგენ

3. ახალი ეკონომიური პოლ რომელიც საჭიროა მეურნეობის გენისთვის და საბჭოთა ძალაუ ბის საფუძველის—მუშათა და თა კავშირის განმტკიცებისა მძიმე ცვირთად დაიწყა მუშათა გაზრდობას. მან გამოიწვია მრა ლობის შტატის შემცირება, რ გატარდა ჯერჯერობით უმთავ დაუხელოვნებელ, ახალგაზრდ შების ხარჯზე. ამიტომ მათ უმუშევრობამ დიდ ზომებს მიაღ ჩვენში, საქართველოში სამუშაო კლებულია 3,000 ხალგ. მუშა მათგანის მდგომარეობა ძალიან მძა.

4. ყველაფერმა ამან წარსულ ბოლოდან აიძულა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია, შრომის სახალხო კომისარიატი და პროფესიონალური კავშირები უყურადღება მიექცია ახალგაზრდობისთვის და მუშებსშორის უმუშევრობის შესამცირებლად. მიღებული იყო მრავალი ზომა, რის მეოხებითაც რამოდენიმე ასეული ახალგაზრდა უმუშევარი ოგზავნა ქარხანა-ფაბრიკებში.

ვაშინგტონის ცხოვრება

„ახალგაზრდა უმუშევრის კვირეული“

(თეზისები მოხსენება სათვის).

1. მუშათა კლასის მოზარდი თაობა ძველ დროიდანვე თამაშობდა უდიდეს როლს პროლეტარიატის ცხოვრებაში. რევოლიუციონურ მოძრაობაში ის მუდამ იყო წინ, ის მუდამ იყო კლასიურ ბრძოლის პირველ ბარიკადებზე. მრეწველობაში მუშათა ახალგაზრდობა წარმოადგენს დახელოვნებულ სამუშაოს ძალის რეზერვს. მუშათა ახალგაზრდობა ეს მუშათა კლასის ხვალინდელი დღეა. ეს კარგად იცოდა ბურჟუაზიამ და მის სახელმწიფოებრივ აპარატის ერთ უმთავრეს ამოცანათაგანს წარმოადგენდა მუშათა ახალგაზრდობის დასახიჩრება და მათგან მორჩილ მონების მომზადება. ახალგაზრდა მუშებიდან ისინი ამზადებენ მუშებს, რომელნიც უბმოთ ემორჩილებიან მრეწველობის მეუფეებს და რომელნიც შედიან ქრისტიანულ ორგანიზაციებში და ემორჩილებიან ბურჟუაზიის ბატონობას. ბრძოლა მუშათა ახალგაზრდობის დამორჩილებისათვის კაპიტალისტების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა.

2. მიუხედავათ ამისა, მუშათა ახალგაზრდობა ამას არ გაჰყვა და ის დღესაც როგორც ჩვენში, საბჭოთა ფედერაციაში, ისე დასავლეთში წარმოადგენს პროლეტარიატის და მის კომუნისტურ მოძრაობის სილამაზეს და სიამაყეს. მუშათა ახალგაზრდობის მნიშვნელობა ჩვენში უფრო დიდია, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. პროლეტარული ახალგაზრდობა გამოუნაკლებლად ემხრობა კომუნიზმს, ის წინ არის სამეურნეო ფრონტზე. ის ავანგარდის ფრონტზე. დასასრულ ჩვენი მეურნეობა, რომელიც დღეს იზრდება მომთხოვს დახელოვნებულ და განვითარებულ მუშების ახალ ნაკადს. ამიტომ მუშათა ახალგაზრდობა ეს მუშათა კლასის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ვაშინგტონის კონფერენცია

„ახალგაზრდა უმუშევრის კვირეული“

(თეზისები მოხსენება სათვის).

1. მუშათა კლასის მოზარდი თაობა ძველ დროიდანვე თამაშობდა უდიდეს როლს პროლეტარიატის ცხოვრებაში. რევოლიუციონურ მოძრაობაში ის მუდამ იყო წინ, ის მუდამ იყო კლასიურ ბრძოლის პირველ ბარიკადებზე. მრეწველობაში მუშათა ახალგაზრდობა წარმოადგენს დახელოვნებულ სამუშაოს ძალის რეზერვს. მუშათა ახალგაზრდობა ეს მუშათა კლასის ხვალინდელი დღეა. ეს კარგად იცოდა ბურჟუაზიამ და მის სახელმწიფოებრივ აპარატის ერთ უმთავრეს ამოცანათაგანს წარმოადგენდა მუშათა ახალგაზრდობის დასახიჩრება და მათგან მორჩილ მონების მომზადება. ახალგაზრდა მუშებიდან ისინი ამზადებენ მუშებს, რომელნიც უბმოთ ემორჩილებიან მრეწველობის მეუფეებს და რომელნიც შედიან ქრისტიანულ ორგანიზაციებში და ემორჩილებიან ბურჟუაზიის ბატონობას. ბრძოლა მუშათა ახალგაზრდობის დამორჩილებისათვის კაპიტალისტების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა.

2. მიუხედავათ ამისა, მუშათა ახალგაზრდობა ამას არ გაჰყვა და ის დღესაც როგორც ჩვენში, საბჭოთა ფედერაციაში, ისე დასავლეთში წარმოადგენს პროლეტარიატის და მის კომუნისტურ მოძრაობის სილამაზეს და სიამაყეს. მუშათა ახალგაზრდობის მნიშვნელობა ჩვენში უფრო დიდია, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. პროლეტარული ახალგაზრდობა გამოუნაკლებლად ემხრობა კომუნიზმს, ის წინ არის სამეურნეო ფრონტზე. ის ავანგარდის ფრონტზე. დასასრულ ჩვენი მეურნეობა, რომელიც დღეს იზრდება მომთხოვს დახელოვნებულ და განვითარებულ მუშების ახალ ნაკადს. ამიტომ მუშათა ახალგაზრდობა ეს მუშათა კლასის ხვალინდელი დღეა. ეს კარგად იცოდა ბურჟუაზიამ და მის სახელმწიფოებრივ აპარატის ერთ უმთავრეს ამოცანათაგანს წარმოადგენდა მუშათა ახალგაზრდობის დასახიჩრება და მათგან მორჩილ მონების მომზადება. ახალგაზრდა მუშებიდან ისინი ამზადებენ მუშებს, რომელნიც უბმოთ ემორჩილებიან მრეწველობის მეუფეებს და რომელნიც შედიან ქრისტიანულ ორგანიზაციებში და ემორჩილებიან ბურჟუაზიის ბატონობას. ბრძოლა მუშათა ახალგაზრდობის დამორჩილებისათვის კაპიტალისტების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა.

სხვადასხვა ამბები

ავსტრია.

კომკავშირის კონფერენცია.

